სამოქალაქო საზოგადოება

ინოვაციებისა და სამოქალაქო
განვითარების ცენტრი
„პროგრესის სახლი“

საგაზეთო ჩანართი №4, 2024 წ.

თქვენ წინაშეა საგაზეთო ჩანართი, რომელიც მომზადებულია პროექტის – **„მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“** ფარგლებში. პროექტს ახორციელებს **ოზურგეთის ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი.**

გამოცემაში პერიოდულად წარმოგიდგენთ პუბლიკაციებს, სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილ ნაშრომებს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ღირებულებების შესახებ. ჩვენი მიზანია, მკითხველს წარმოვუდგინოთ ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასეულობების როლსა და მნიშვნელობაზე

პროექტის გუნდი.

საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები და ევროატლანტიკური ინტეგრაცია

წყარო – საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის აპარატის უფროსის ნიკოლოზ ხატიაშვილის პრეზენტაცია

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აშშ გახდა ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, ვინც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა.

1992 წლის ისტორიული ვიზიტი

1992 წლის 24 მარტს დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები;

1992 წელს შედგა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის, ჯეიმზ ბეიკერის ვიზიტი საქართველოში და გაიხსნა აშშ-ს საელჩო.

ეს იყო საქართველოში მეორე საელჩო, რომელიც გაიხსნა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. შეერთებულმა შტატებმა, საქართველოს დღემდე, დახმარების სახით **6 მილიარდ დოლარზე მეტი** გამოუყო.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წვლილი საქართველოს განვითარებისათვის

USAID
ამერიკელი ხალხისგან

1992 წლიდან საქართველოში დაიწყო მუშაობა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID);

სააგენტომ 2007 წლიდან განახორციელა დაახლოებით 340 პროგრამა;

პროგრამები, რომლებიც ახლაც მიმდინარეობს, მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- **დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერება;**
- **თავისუფალი ბაზრის და დასავლური ორიენტაციის მხარდაჭერის გაძლიერება;**
- **სოფლის მეურნეობა;**
- **ენერგეტიკა;**
- **ინფრასტრუქტურა;**
- **გარემოს დაცვა;**
- **სამოქალაქო საზოგადოების განვითარება;**
- **საჯარო სექტორის მხარდაჭერა;**
- **ჯანდაცვა;**
- **განათლება;**

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და ამერიკის თანადგომა

- 2008 წლის 22 ოქტომბერს ჩატარდა დონორთა კონფერენცია;
- აშშ გახდა საქართველოს უმსხვილესი დონორი ქვეყანა;

აშშ-მ გამოყო 1 მილიარდი დოლარის დახმარება, რომელიც მოხმარდა ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული 48.000 პირის დაბინავებას, ომით დაზარალებული მოსახლეობის სოციალურ დახმარებას, დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენას, ბიუჯეტის დეფიციტის დაძლევას, ქვეყნის საბანკო-ფინანსური ინსტიტუტების რეაბილიტაციას, ენერგეტიკას, ინფრასტრუქტურას და მუნიციპალიტეტების გაძლიერებას;

განათლების სექტორი

- 2013 და 2016 წელს ხელი მოეწერა აშშ-საქართველოს შორის საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმებს, რაც მოიცავს უნივერსიტეტებს შორის ურთიერთობების გაღმავებას და აშშ-ს მხრიდან განათლების პროგრამების დაფინანსების გაზრდას;
- 1991 წლიდან საქართველოს დაახლოებით 6500 მოქალაქემ განათლება მიიღო და კვალიფიკაცია აიმაღლა აშშ-ში სხვადასხვა გაცვლითი პროგრამებით;
- მათ შორის იყვნენ – სკოლის მოსწავლეები (FLEX), მასწავლებლები, სტუდენტები, საჯარო მოხელეები, არასამთავრო სექტორის წარმომადგენლები, მეწარმეები, ფერმერები;
- 2022 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტში გაიხსნა ქართველოლოგიის პროგრამა;

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია

- 2005 წელს გაფორმდა პროექტის პირველი 5 წლიანი ფაზა 400 მილიონ აშშ დოლარი დაფინანსებით, რომელიც მოიცავდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას;
- 2013 წელს გამოიყო გრანტის მეორე ფაზა, რომელიც მოიცავდა ტექნიკური, პროფესიული, ზოგადი და უმაღლესი განათლების ხარისხის ხელშეწყობას საბუნებისმეტყველო, საინჟინრო და ტექნოლოგიების მიმართულებით;

მშვიდობის კორპუსი

- 2001 წლიდან საქართველოში მოქმედებს მშვიდობის კორპუსი, უკვე 500-ზე მეტმა მოხალისემ იმსახურა საქართველოში;
- 2013 წლიდან მშვიდობის კორპუსი მუშაობს საჯარო სკოლებში ინგლისური ენის სწავლის გაუმჯობესების მიმართულებით;

ჯანდაცვა

- 2015 წელს ამოქმედდა **C ჰეპატიტის ელიმინაციის** პროგრამა. 77000 ადამიანმა ჩაიტარა მკურნალობა, რის შედეგადაც განკურნების მაჩვენებელი შეადგენს 98%-ს;
- აშშ-ს მხარდაჭერით 2013 წელს მუშაობა დაიწყო **ლუგარის კვლევითმა ცენტრმა**, რომელიც უნიკალურია რეგიონში თავისი თანამედროვე ტექნოლოგიებით;

სხვა მიმართულებები

- ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერა;
- ჟენევის მოლაპარაკებები
- ევროკავშირში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ტერორიზმთან ბრძოლა;
- ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა;
- საზღვრის დაცვა;
- პოლიციური ძალების ხელშეწყობა და პოლიციელების გადამზადება;
- კულტურული პროგრამების მხარდაჭერა;
- დეზინფორმაციასთან ბრძოლა;

ნატო და აშშ-საქართველოს კავშირები თავდაცვის და უსაფრთხოების მიმართულებით

1992 წელს საქართველო გახდა ნატოს საბჭოს წევრი

- 1994 წლიდან საქართველო გახდა „პარტნიორობა მშვიდობისთვის” პროგრამის მონაწილე;
- 1996 წელს შემუშავდა პირველი ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმა ნატოსთან;
- 1998 წელს გაიხსნა საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა ნატოში;
- 2001 წელს საქართველოში პირველად ჩატარდა ნატოს და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო წვრთნები;
- 2002 წელს საქართველომ გააკეთა განაცხადი ნატოს წევრობაზე და პარლამენტმა მიიღო დადგენილება ალიანსში გაწევრიანებაზე;
- 2004 წელს ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ დაამტკიცა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა საქართველოსთან;
- 2008 წელს ჩატარდა ბუქარესტის სამიტი, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი;
- 2014 წელს უელსის სამიტზე საქართველოსთან დამტკიცდა არსებითი პაკეტი.

საქართველო საერთაშორისო მისიებში

- 1999-2008 - კოსოვო KFOR
- 2003-2008 - მისია ერაყში (8500 სამხედრო);
- 2004-2021 - მისია ავღანეთში (30000 სამხედრო).

აშშ-საქართველოს თანამშრომლობა თავდაცვის მიმართულებით

- სამხედრო განათლება და წვრთნები;
- ამერიკელი მრჩევლების მონაწილეობა თავდაცვის სამინისტროს ინსტიტუციურ განვითარებაში;
- ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში ჩართულობისთვის სამხედროების მომზადება;
- დაჭრილი სამხედროების რეაბილიტაცია-მკურნალობა;
- ახალი სამხედრო ტექნოლოგიების განვითარება;
- თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობით ქართული ჯარის უზრუნველყოფა;
- სამხედრო მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა;
- აშშ ჩართულია ნატო-ს ყველა მექანიზმის განხორციელებაში;
- საქართველოში რეგულარულად ხორციელდება ერთობლივი სამხედრო წვრთნები;
- საქართველო აქტიურად მონაწილეობს ევროპის ქვეყნებში ამერიკისა და ნატოს ეგიდით ჩატარებულ წვრთნებში.

აშშ-ს მიერ დაფინანსებული თავდაცვის მიმართულება





სამომავლო მიზნები

- აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება;
- აშშ-ს თან ურთიერთობების გაღრმავება და მეტი ხელშესახები შედეგების მიღება თითოეული მოქალაქისთვის;
- საქართველოს მოქალაქეებისთვის აშშ-ს სავიზო რეჟიმის გამარტივება და პირდაპირი ფრენების დანიშვნა აშშ-სა და საქართველოს შორის;
- აშშ-თან თანამშრომლობის გაძლიერება თავდაცვის და უსაფრთხოების მიმართულებით და აშშ-ს ჩართულობის ზრდა შავი ზღვის რეგიონში;
- ნატო-საქართველოს ურთიერთობების მეტად გაღრმავება;
- ნატოში გაწევრიანების მიზნით, კონკრეტული საგზაო რუკის მიღება;

რატომ ნატო?

დეზინფორმაცია ნატოსთან მიმართებით

ტ ყ უ ი ლ ი	ს ი მ ა რ თ ლ ე
ოკუპაციის პირობებში, საქართველო ნატოს წევრი ვერ გახდება	ბალტიის ქვეყნები და გაყოფილი გერმანია გახდა ნატოს წევრი
საქართველო ნატოს წევრი ვერ გახდება რუსეთის თანხმობის გარეშე	ნატოს წევრობისთვის საჭიროა ალიანსის წევრების თანხმობა, ხოლო რუსეთი არ არის ნატოს წევრი. ნატოს წევრობა სუვერენული ქვეყნის არჩევანია, რომელზეც გავლენას ვერავინ მოახდენს
ნატოს არ უნდა საქართველო მიიღოს წევრად	1992 წლიდან ნატო ეხმარება საქართველოს ნატოში გასაწევრიანებლად, რაშიც დიდი რესურსი ჩადო. ნატოს წევრობა შეუძლია ევროპის ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანას
ნატოს წევრობა ქართველ ხალხს არ უნდა	საქართველოში ჩატარებული პლებისციტის შედეგად მოქალაქეთა უდიდეს ნაწილს სურს საქართველოს ნატოში გაწევრიანება. ბოლო კვლევებით მოსახლეობის 80%-ზე მეტს აქვს ეს სურვილი.

2024 – საპარლამენტო არჩევნების წელი – ამომრჩევლის სამახსოვრო

➲არჩევნები ფარულია და ვერავინ გაიგებს ვის მიეცით ხმა!

➲საარჩევნო ელექტრონული სისტემის საშუალებით არჩევნების შედეგები ქვეყნის მასშტაბით, გვეცოდინება, ხმის მიცემის შეწყვეტიდან, ერთ-ორ საათში. შესაბამისად – ხმებს ველარ „გადათვლიან“.

➲ამომრჩევლის რეგისტრაციისა და ხმების დათვლის ელექტრონული სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფას აკეთებს საერთაშორისო, რეიტინგული ორგანიზაცია, და ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მოხდეს უკანონო მანიპულირება.

➲არჩევნების დღეზე მეტად არჩევნები ყალბდება სააგიტაციო პერიოდში, როცა უკანონო წესებით ზემოქმედებენ ამომრჩევლის ნებაზე – მოსყიდვა, დაშინება, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება... ვიმოქმედოთ სინდისის კარნახით. ჩვენზეა გადაწყვეტილების ბედი.

➲ ხელისუფლების შეცვლის დიდი სურვილი თუ გაჩნდა ამომრჩეველში, შედეგებში დიდი სხვაობის შემთხვევაში, მმართველ პარტიას ვერ უშველის ვერც ადმინისტრაციული რესურსი, ვერც ამომრჩეველთა დაშინება.

➲ყველაფერი დამოკიდებულია ამომრჩეველზე!!!

ინოვაციების და სამოქალაქო განვითარების ცენტრი „პროგრესის სახლი“

ჩანართი მომზადდა პროექტ „მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია (National Endowment for Democracy) NED-ის მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს (National Endowment for Democracy) NED -ის პოზიციას.

NED NATIONAL ENDOWMENT FOR DEMOCRACY SUPPORTING FREEDOM AROUND THE WORLD